

# Arabesque

BALLET MAGAZINE

არაბესკი ჟურნალი ბალეტზე

No2(27)'16





სამხრეთკავკასიის სახელმწიფო  
ბალეტი

STATE BALLET  
OF GEORGIA

ახალი წელი  
პნდრის დივანსთან  
ერთად

NEW YEAR WITH

ANDRIS LIEPA

სალაშო ექთვეზა  
ქართული ხალხის მეგობართა საერთაშორისო  
10 წლის იუბილე



THE GALA EVENING IS DEDICATED TO  
THE 10-YEAR ANNIVERSARY  
OF THE FRIENDS OF THE GEORGIAN BALLET



იანვარი 2017  
13 | 19:00

თბილისი პანკო  
TBC BANK



ROOMS HOTELS



kikala studio



ASKANELI



BDO



ART TV

PALITRA NEWS



# Arabesque

No2(27) 2016

Ballet Magazine

„არაბესკი“ მუსიკალური ბალეტის



ზაპარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის საბალეტო დანის მუსიკალური

MAGAZINE ABOUT THE BALLET COMPANY OF THE TBILISI Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE

გამოდის წელიწადში ორჯერ

Issued twice a year

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი მისურაძე

Artistic Manager of the Theatre  
BADRI MAYSURADZE

საბალეტო დანის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი

Artistic Director of the Ballet Company  
NINA ANANIASHVILI

მთავარი რედაქტორი ილია თავბერიძე

ინგლისური ტექსტების რედაქტორი ორსოლია საროსი

ინგლისურად ტექსტების თარგმანი

თეონა გელაშვილი გვანტა მოსიაშვილი

დიზაინი ბესიკ დანელიასი

ფოტოგრაფი ლადო ვაჩნაძე

Editor-in-Chief ILIA TAVBERIDZE

Editor of the English language content ORSOLYA SAROSSY

Texts translated into English by TEONA GELASHVILI GVANTSA MOSIASHVILI

Design by BESIK DANELIA

Photographer LADO VACHNADZE

ნომერში გამოყენებულია რიჩარდ ფინკელსეტინის, გრეგორი ბატარდონის, ნიკოლა რობელის, ვინსენტ ლეპრესლის, გელა ბედიაშვილის (კულტურის სამინისტრო), ლადო ვაჩნაძის ფოტოები  
Photos included are taken by Richard Finkelsetin, Gregory Batardon, Nicolas Robel, Vincent Lepresle, Gela Bedianashvili (Ministry of Culture and Monument Protection of Georgia) and Laado Vachnadze

გარეკანზე: „წუნა და წრუწუნა“, ლადო ვაჩნაძის ფოტო  
Cover photograph: "Tsun and Tsrutsuna", photo by Lado Vachnadze

დაბეჭდა შპს „სეზანე“  
Printed by "Cezanne" Ltd

თბილისი 0108, რუსთაველის გამზირი 25  
25, RUSTAVELI AVE. 0108, TBILISI, GEORGIA  
0108/TEL: +995 32 235 75 03

თირაში: 300

UDC (უბკ) 792.8  
A-70

ISSN 1512-3294

www.opera.ge

## რედაქტორისაგან:

ამოწურა თუ არა საკუთარი შესაძლებლობები კლასიკურ-მა ბალეტმა? ხომ არ არის დრო 21-ე საუკუნეში მან სრულად დაუთმოს ადგილი თანამედროვე ქორეოგრაფიას? – ხშირად ისმის ეს კითხვა დღეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საბალეტო კომპანიები კვლავ სთავაზობენ მაცურებელს „გედების ტბის“, „ჟიზელის“ ან „დონ კიხოტის“ ახალ რედაქციას. ჩვენს თეატრში, „ჟიზელის“ განახლებული სპექტაკლის შემდეგ სოციალურ ქსელში, დისკუსიას გავუცანი. წერდნენ, რომ აღარაა აუცილებელი პეტიპას ვერსია კვლავ იდგმებოდეს, საჭიროა ახალი დადგმები ამ მუსიკაზე, თუ თეატრი თვლის რომ ეს ბალეტი კვლავ აქტუალურია. ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა, აქვს არსებობის უფლება. მაგრამ, კლასიკური საბალეტო მემკვიდრეობა ახლოს უნდა იყოს ორიგინალთან. უმნიშვნელო ცვლილებაც კი თავდაყირა აყენებს იმას, რაც დამდგმელმა ქორეოგრაფმა ჩაიფიქრა და რითაც ესა თუ ის დადგმა დღემდე არ ჩამოდის საბალეტო სცენიდან. ახლის მოფიქრებას და შექმნას კი არავინ კრძალავს. მაგალითად, 2014 წელს ახალგაზრდა ქორეოგრაფმა ალექსანდრე ეკმანმა ნორვეგიის ბალეტში „გედების ტბა“ დადგა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო არც ჩაიკოვსკის მუსიკასთან და არც პეტიპა-ივანოვის ტრადიციულ დადგმასთან. კლასიკური საბალეტო მემკვიდრეობის კარგად გააზრების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ქორეოგრაფიის გაგება. პეტიპას, ფოკინის და სხვა დიდი ქორეოგრაფების დადგმებიც დღესაც ძალიან თანამედროვეა. ამ თემებზე ვესაუბრეთ თანამედროვე ცეკვის მკვლევარს ხათუნა მზარელუას, რომლის აზრით, ფოკინის კლასიკური ბალეტები 21-ე საუკუნის ქორეოგრაფების შთაგონების წყაროდ დღესაც არიან ქცეულნი. ინტერვიუ დიაგილევის რუსულ სემინარებზე „შოპინიანას“ დადგმის საუკუნოვან იუბილეს ეძღვნება და „არაბესკის“ ამ ნომერში წაიკითხავთ.

## FROM THE EDITOR

Did classical ballet run its capacities short, or not? In the 21<sup>st</sup> century, isn't it time for it to give its place to modern ballet entirely? Nowadays this question is often asked, especially, at times when ballet companies still offer new editions of *Swan Lake*, *Giselle* and *Don Quixote*. After the renewed performance of *Giselle* at our theatre, I looked through the discussions on social media. Some said that in case the theatre thinks that the ballet is still current, it's no longer necessary for Petipa's version to be staged again, rather to have new staging on the same music. Certainly, this opinion has its right to exist. But I always advocate the idea that the classical ballet legacy should be close to the original one. Even insignificant changes conceived by the staging choreographer of some of the versions have remained on the ballet stage. No-one prohibits the deliberation and creation of new approaches. In 2014, a very young choreographer, Alexander Ekman, at the Norwegian National Ballet, staged *Swan Lake*, which has nothing in common neither with the music of Tchaikovsky, nor with Petipa and Ivanov's traditional staging. But I still think that without good consideration, it's impossible to understand contemporary dance. Nowadays, Petipa's, Fokine's and other great choreographers' creations are still very modern. We discussed this subject with contemporary dance researcher Khatuna Mzareula, who thinks that Fokine's classical ballets are a source of inspiration for 21st century choreographers. Our interview about Diaghilev's Russian Seasons is dedicated to a century of staging *Chopiniana* – I hope you will enjoy reading it in this issue of "Arabesque".



პრემიერა · PREMIERE

04 წუნა და წრუწუნა  
Tsunu and Tsrutsuna

11 დასი  
Company

12 Ballet News

შპელშოშეშეშეშე · CHARITY

14 სიევიარულისთვიის  
For Love

20 Ballet News

შასთროლი · TOUR

22 ჯექსონის საერთაშორისო  
საბალეტო კონკურსზე  
USA International Ballet Competition  
in Jackson, Mississippi

26 Ballet News



2018 Competition    Grand Prix Reunion Gala    Support    About Us    More ≡





სტუმარი - MEMORY

28

ვერა წიგნაძე  
Vera Tsignadze

ინტერვიუ - INTERVIEW

32

ფოკინის სტილით შთაგონება  
XXI საუკუნეში  
Inspiration from Fokine's Style  
in the 21<sup>st</sup> Century

თანამედროვე ბალეტი - CONTEMPORARY BALLET

43

ხათუნა მზარელაშვილი  
მოწყვეტე ვარსკვლავი  
Shooting Stars  
KHATUNA MZARELUA



# წუნა და წრუწუნა Tsuna and Tsrutsuna

2016 წლის 25 ნოემბერი, თბილისის ოპერის თეატრის ისტორიაში, პირველი ქართული საბავშვო ბალეტის პრემიერის დღედ ჩაიწერება. „წუნა და წრუწუნა“ ცნობილი ქართული ანიმაციური ფილმის არც კლასიკური რემიკია და არც მუსტი ანალოგი. თუმცა სპექტაკლში მულტფილმის ძირითადი სიუჟეტური ხაზი და მუსიკალური თემები შენარჩუნებულია.

25th of November 2016 will be marked as the day of the first Georgian children's ballet premiere in the history of the Tbilisi Opera Theatre. *Tsuna and Tsrutsuna* is neither a classical remake of the Georgian animated cartoon, nor its exact analogue. However, the general plot line and musical themes are preserved from the cartoon.



მოქმედება ძველ თბილისში ხდება. ქალაქის სარდაფების ბინადარი თავგები მოედანზე იკრიბებიან. მათ შორისაა წრუწუნა, რომელსაც მეგობრები განსაკუთრებული პატივისცემით ხვდებიან და მასთან ერთად ლელობურთის თამაშში ებმებიან. წრუწუნა გამარჯვებით მოპოვებულ კაკალს თა-

ვის რჩეულს, გიმნაზისტ წუნას მიართმევს. კვანძიც აქ იკვრება – წუნას გარეგნობით, მოედანზე, ხანდაზმული თავადი ვირთხაც მოიხიბლება და მსახურებს მის მოტაცებას უბრძანებს.

აქესენტი ცაგარლის ნაწარმოების მიხედვით, მერი დავითაშვილის მუსიკაზე შექმნილი ნახატი ფილმი, ახლანდელი თაობისთვისაც რომ სანტერესოა, ეს ნინო

The action is conducted in Old Tbilisi. A group of mice, residents of the city's basements gather on a square. Among them is Tsrutsuna whom his friends greet with special respect. They start playing the Lelo-Burti game. Tsrutsuna wins a walnut, which he takes to his beloved one, Gymnasium student Tsuna. This is the moment when the Noble Rat – who has been attracted to Tsuna – gives

an order to his servants to kidnap her...

The idea that the cartoon created on Meri Davitashvili's music is interesting even for the young generation, was suggested by Nina Ananiashvili's daughter, Elene. Prima Ballerina and Artistic Director Nina Ananiashvili created a modern choreographic version of the cartoon according to the adventures of the mice.





ანანიაშვილს მისმა ქალიშვილმა – ელენემ მიანიშნა. პრიმა-ბალერინას კი, თავგების თავგადასავლის გათანამედროვებული და ქორეოგრაფიული ვერსიის შექმნის იდეა გაუჩნდა. თაობებს შორის ერთგვარი კულტურული ხიდის

გადება, რაც ამ პროექტით იყო ჩაფიქრებული, დამდგმელმა ჯგუფმა მასშტაბური დეკორაციებით და მრავალფეროვანი კოსტიუმებით სცადა. გიგანტური ფეხსაცმლის, ხაფანგის, ყანწისა და ყველის ნაჭრის ფონზე მოქმედი გმირები

Her goal of the author was to create a ballet that would also be enjoyable for the adults, as well as for the children. The staging group tried to build a cultural bridge between the generations through effective decorations, costumes and exaggerated scope







ფიცხელა – დავით ანანელი  
PITSKHELA – DAVID ANANELI

მართლაც წრუწუნებით  
პატარები ჩანან.

ბალეტზე მუშაობა ჯერ კიდევ მერი დავითაშვილის სიცოცხლეში დაიწყო. კომპოზიტორმა დამდგმელ ჯგუფს არა მხოლოდ „წუნა და წრუწუნასთვის“ დაწერილი მუსიკალური მასალა, არამედ მისი სხვა საბავშვო სიმღერების ნოტებიც გადასცა. სამწუხაროდ, ქალბატონი მერი 2014 წელს გარდაიცვალა. მისი მუსიკისაგან, კომპოზიტორმა ზურაბ ნადარეიშვილმა საბალეტო პარტიტურის საკუთარი ვერსია შექმნა, რომელშიც, მუსიკალური კლასიკის ბევრი შედეგურია ჩართული.

დილის თბილისის სურათებში, რითაც იწყება ბალეტი, გვხვდებიან

კინტოები, ყარაჩოხლები, გიმნაზიის მოსწავლე გოგონები, ხანდაზმული თავადი ვირთხა თავისი გაუთხოვარი დეიდებით (კახა ანდრიაძე, შორენა ხაინდრავა, თეონა ახობაძე), მოურავით და მოსამსახურე კოსტაიას თანხლებით. მთელი სპექტაკლის ერთგვარი ცერემონიამაისტერის ფუნქციას უსტაბში (უილიამ პრატი, მორის მესხია) – ხელოსანთა ოსტატი ასრულებს. ლელობურთის ინიციატორიც და გამძლოლიც ის არის, სადაც ხან ყარაჩოხელთა გუნდი და მათი მეთური ფიცხელა (დავით ანანელი) დაწინაურდება, ხან კი ახალგაზრდა კინტო თავგები. გამარჯვება სწორედ მათ გუნდს რჩება, რომელსაც წრუწუნა მეთაურობს და მოპო-

of scenography. In front of the background of gigantic shoes, snare, horn and piece of cheese, the characters really appear like “tsrutsunas” (mice).

The creation of this ballet had started with Meri Davitashvili’s permission and cooperation. The composer gave to the staging group not only melodies created for Tsuna and Tsrutsuna, but also piano sheets of her other children’s songs. Unfortunately, Mrs. Davitashvili passed away in 2014. Based on her music, composer Zurab Nadareishvili completed his own version of the ballet score, which includes many masterpieces, excerpts from classical music.



წუნა – ნინო  
სამადაშვილი,  
წრუსუნა – ფრანკ  
ვან ტონგერენი  
TSUNA – NINO  
SAMADASHVILI,  
TSRUTSUNA – FRANK  
VAN TONGEREN



ვებულ კაკალსაც წუნას ჩუქნის. შეყვარებული თაგვების – წუნასა და წრუსუნას სასიყვარულო დუეტი – ჯერ მხიარული, ქართულ მოტივებზე შესრულებული ცეკვით იწყება, შემდეგ კი ისინი ადაჯოს ცეკვავენ – სიყვარულის ერთგვარ გამხელას. ეს ცეკვები მთავარი პერსონაჟების ხასიათის გამოკვეთისთვისაა დადგმული, რომელიც საპრემიერო სპექტაკლებზე ორმა წყვილმა (ნინო სამადაშვილი და ფრენკ ვან ტონგერენი, ნუცა ჩეკურაშვილი და ფილიპ ფედულოვი) სრულიად განსხვავებულად შეასრულეს.

ქართული მულტფილის სიუჟეტური ხაზიდან გადახვევა ბალეტში მხოლოდ წუნა და წრუსუნას ქორწილის სცენაა. ქორწილი მულტფილში იმართება, მაგრამ არა იმ მასშტაბის, როგორც სპექტაკლშია წარმოდგენილი. მას, პრაქტიკულად, მეორე მოქმედება მთლიანად ეთმობა. ბალეტის ავტორების ჩანაფიქრით, წუნას და წრუსუნას ბედნიერების აღსანიშნავად, თაგვებმა ოპერის სარდაფიდან თეატრის სცენაზე გადაინაცვლეს. სწორედ ამიტომ, სპექტაკლის სცენოგრაფიაში, ამ დროს თეატრის დარბაზის იმიტაცია იშლება

In the scene of morning Tbilisi, as the ballet starts, appear the groups “Kintos” and “Karachoghelis”, students, the Noble Rat accompanied by his unmarried aunts, a butler, and servant Kostaiia. The role of the Master of the Ceremony (William Pratt, Moris Meskhia) is performed by the chief of workers. He is the initiator and conductor of the game “Lelo-Burti”, where sometimes the group of “Karachoghelis” and their leader, Pitskhela (David Ananeli) step up, and sometimes young “Kinto” mice. The victory goes to the team that Trustuna is leading and the he gifts the walnut that he had won to Tsuna. The amorous duet of the two young mice – first of all cheerful, danced on Georgian motives, then Adagio – celebrates the admitting of love. This shapes the characters of Tsuna and Tsrutsuna, whose roles were performed in completely different ways by two couples (Nino Samadashvili and Frank Van Tongeren; Nutsa Chekurashvili and Philip Fedulov) at the premiere performances.

The scene of the wedding of Tsuna and Tsrutsuna is the only time the creators wandered away from the original plot. A wedding is conducted in the cartoon, too, but without the kind of scope that is presented in

და მაყურებელი და მონაწილეები ერთად ესწრებიან წუნას და წრუწუნას ქორწილს, რომელშიც თბილისში მცხოვრები უცხოელი თავგებიც მონაწილეობენ. ახლადდაქორწინებულებს გერმანელები მენუეტით, ფრანგები კანკანით, იტალიელები ტარანტელათი ულოცავენ გაბედნიერებას. მერი დავითაშვილის მელოდიების გარდა, სწორედ ამ სცენაშია გამოყენებული ვერდის, ოფენბახის, ბრამსის, როსინისა და მოცარტის ნაწარმოებები. ქორწილის კულმინაცია კი შეყვარებული თავგების საქორწინო პა დე დეა, რომელიც პ. ჩაიკოვსკის „მაკნატუნადან“ არის ჩართული.

the ballet. Apparently, the second act is mostly about this. According to the authors' intention, the mice moved from the basement of the Opera to the its stage to celebrate the happiness of Tsuna and Tsrutsuna. Precisely due to this, in the scenography, there is an imitation of a

scene, and the spectators, as well as participants of the performance attend together Tsuna and Tsrutsuna's wedding, in which foreign mice who live in Georgia also participate. Germans with the Minuet, French with Can-can, and Italians with Tarantella congratulate the newly-

weds. Besides the melodies of Meri Davitashvili, in this scene are included short excerpts from masterpieces by Verdi, Offenbach, Brahms, Rossini and Mozart. Culmination of the wedding is the lover mice's Pas De Deux, which is extracted from P. Tchaikovsky's Nutcracker.





„წუნა და წრუწუნას“ საბალეტო ვერსიისთვის სპეციალურად შეიქმნა 100-ზე მეტი კოსტიუმი. მხატვარ ანკა კალათოზიშვილის თქმით, სადადგმო ჯგუფის მიზანი არ ყოფილა პერსონაჟების ჩაცმულობა მულტფილმის გმირებისთვის მიემსგავსებინათ. არც სცენოგრაფია წარმოადგენს ძველი თბილისის ანალოგს, იგი თანამედროვე დაა გადაწყვეტილი, მინიმალისტურია და გამოყენებულია ოპერის თეატრის განახლებული სცენის ტექნიკური შესაძლებლობები.

For the special occasion of the creation and premiere of Tsuna and Tsrutsuna more than 100 original costumes were created. According to the costume designer, Anka Kalatozishvili, the staging group did not intend to make the characters' clothes look like the ones in the cartoon. The scenography is not the analogue of old Tbilisi either – these decisions were made sequentially. The sets are minimalistic and use the renewed technical capabilities of the Tbilisi Opera Theatre's stage.



**164- სეზონის დასურვა**

2016 წლის 9 ივლისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასმა 164-ე თეატრალურ სეზონი გალა-კონცერტით დასურა.

პროგრამა სამი განყოფილებისაგან შედგებოდა. წარმოდგენილი იქნა ჯორჯ ბალანჩინის ერთმოქმედებიანი ბალეტები – *Concerto Barocco* და *Symphony in C* და ფრედერიკ ეშტონის ბალეტი „მარგარიტა და არმანი“, რომელშიც მთავარი პარტიები ნინო ანანიაშვილმა და დასის სოლისტმა ფრენკ ვან ტონგერენმა შეასრულეს.

გალა-კონცერტის დასკვნით ნაწილში ნინო ანანიაშვილმა სიურპრიზი მოუწყო მაყურებელს – ქართულ ნაციონალურ ბალეტთან ერთად მან, სპეციალურად „სუხიშვილების“ საიუბილეოდ, ილიკო სუხიშვილის მიერ დადგმული „ილოური“ იცეკვა.

164-ე თეატრალურ სეზონის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა 7 საბალეტო პრემიერა გამართა, წარმოადგინა 27 სპექტაკლი და გასტროლზე იმყოფებოდა ესპანეთში, რუსეთში, იტალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.



**CLOSURE OF THE 164<sup>TH</sup> BALLET SEASON**

On 9th July 2016, Z. Paliashvili Tbilisi State Ballet of Georgia closed its 164<sup>th</sup> Season with a Gala Performance.

The Evening consisted of three parts. The Ballet Company presented George Balanchine’s one-act ballets – *Concerto Barocco*, *Symphony in C* and Frederick Ashton’s ballet *Marguerite and Armand*, in which the main parts were performed by Nina Ananiashvili and company soloist Frank Van Tongeren.

At the final part of the Gala Performance Nina Ananiashvili made a surprise for the audience – together with the National Ballet of Georgia, she performed

*Iouri*, choreographed by Iliko Sukhishvili, which was staged specially for the anniversary of Sukhishvilebi.

During the 164th theatre season, the State Ballet of Georgia presented 7 ballet premieres, performed 27 performances and went on tour to Spain, Russia, Italy and the U.S.A.

**165-ე სეზონის გახსნა**

მორიგი, 165-ე სეზონი, საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა 24 სექტემბერს, ა.ადანის ორმოქმედებიანი ბალეტით გახსნა. „ჟიზელი“, 2009 წლის შემდეგ, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე პირველად იქნა წარმოდგენილი. მის აღდგენაზე დასთან დამდგმელი ქორეოგრაფი ალექსეი ფადეეჩევი და ქორეოგრაფის ასისტენტი ტატიანა რასტორგუევა მუშაობდნენ. მაყურებელმა „ჟიზელში“ ორი შემადგენლობა იხილა. 24 და 25 სექტემბერს მთავარი პარტიები ნინო სამადაშვილმა (ჯიზელი) და ფილიპ ფედულოვმა (ალბრეტი) იცეკვეს. მათი დებიუტი ამ ბალეტში 2015 წელს შედგა. 1 და 2 ოქტომბრის სპექტაკლებში კი, ჟიზელის პარტიაში, პირველი გამოსვლა ჰქონდა ნუსა ჩეკურაშვილს. მას პარტნიორობას უწევდა იონენ ტაკანო. ამავე სპექტაკლში შედგა ჰანსის როლში უილიამ პრატის დებიუტი. პირველი მოქმედების პა დე სიზში დასის ახალგაზრდა მოცეკვავეები – ანა ტყემელაშვილი, ნინო გულორდავა და ლარა ტყემელაშვილი პირველად ცეკვავდნენ.

**OPENING OF THE 165<sup>TH</sup> BALLET SEASON**

The State Ballet of Georgia opened its 165<sup>th</sup> season on 24<sup>th</sup> of September with A. Adam’s two-act ballet. Since 2009, it was the first time that *Giselle* was performed on the stage of the Tbilisi Opera and Ballet Theatre. Director-choreographer Alexei Fadeechev and the choreographer’s assistant Tatiana Rastorgueva were working on the revival with the ballet company. The audience viewed two casts. On 24<sup>th</sup> and 25<sup>th</sup> September main parts of the ballet were performed by Nino Samadashvili (*Giselle*) and Philip Fedulov (*Albrecht*). They debuted in this ballet in 2015 (at the Griboedov Theatre). On 1st and 2nd October, Nutsa Chekurashvili had her debut in the role of *Giselle*. Her partner was Yonen Takano. In the same performance William Pratt performed the role of Hans. It’s notable that, in the *pas de six* of the first act, young dancers of the ballet company Anna Tkeshelashvili, Nino Gulordava and Lara Tkeshelashvili were performing for the first time.



ჟიზელი –  
ნუსა ჩეკურაშვილი  
GISELLE –  
NUTSA CHEKURASHVILI

## ბადრი მაისურაძე – ოპერის და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

13 ნოემბერს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, ოპერისა და ბალეტის თეატრის დასს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი – ბადრი მაისურაძე წარუდგინა.

მიხეილ გიორგაძეს ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე ბადრი მაისურაძის კანდიდატურა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ შექმნილმა დროებითმა სარეკომენდაციო საბჭომ შესთავაზა. გადაწყვეტილება საბჭომ 27 ოქტომბერს, ფარული კენჭისყრის საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით მიიღო.

ბადრი მაისურაძის დებიუტი თბილისის ბაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში 1990 წელს შედგა, ოთარ თაქთაქიშვილის ოპერაში „მინდია“. იგი ფრანსისკო ვინიასის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსისა (ესპანეთი) და ბიორლინგის სახელობის ვოკალისტთა კონკურსის (შვედეთი) გამარჯვებულია.

ტენორის საერთაშორისო კარიერა 1993 წელს დაიწყო – ლიეჟის ოპერის თეატრში შეასრულა ცრუ დიმიტრის როლი, მუსორგსკის ოპერაში „ბორის გოდუნოვი“. მას შემდეგ, თანამშრომლობს მსოფლიოს ისეთ წამყვან თეატრებთან, როგორცაა: ბერლინის Deutsche Opera („ტრუბადური“, „აიდა“, „ნაბუქო“), ვენის შტაატსოპერა („ტოსკა“), მილანის ლა სკალა („მაზეპა“), ფლორენციის Teatro Comunale („მადამ ბატერფლაი“, „ქალიშვილი დასავლეთიდან“), მადრიდის Teatro Real („აიდა“, „ერნანი“ „კატერინა იზმაილოვა“) და სხვა.

ბადრი მაისურაძე 1994 წლიდან მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტია. 2002 წლიდან იგი გალინა ვიშნევსკაიას სახ. საოპერო ცენტრის პროფესორია. რეგულარულად ატარებს მასტერკლასებს გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში, კანადასა და ავსტრალიაში.

ბადრი მაისურაძე ბუსეტოს ვერდის სახელობის თეატრისა და სეულის ოპერის თეატრის კონსულტანტი, ასევე მსტისლავ როსტროპოვიჩის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალისა და ART FESTIVAL-ის (პრაღა და უმბრია) მენეჯერია.



### BADRI MAYSURADZE – ARTISTIC DIRECTOR OF THE TBILISI OPERA AND BALLET THEATRE

On November 13<sup>th</sup>, Minister of Culture and Monument Protection of Georgia, Mr. Mikheil Giorgadze inaugurated Mr. Badri Maysuradze – newly appointed Artistic Director of the Tbilisi Opera and Ballet Theatre.

Badri Maysuradze was nominated on the position of Artistic Director by the interim advisory council established by the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia. The decision was made by the council on October 27<sup>th</sup>, by a secret ballot and majority of votes.

The debut of Badri Maysuradze at Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet Professional State Theatre was back in 1990, with the opera – Mindia,

by Otar Taktakishvili. He is a winner of Francisco Viñas International Singing Contest (Spain) and The Jussi Björling Competition for Tenors (Sweden).

He started his international career in 1993, singing the role of The Pretender in Boris Godunov at the Opera Royal de Wallonie in Liege. He is cooperating with the world's leading Opera Houses, including: Deutsche Oper, Berlin (Il Trovatore, Aida, Nabucco), Vienna State Opera (Tosca), La Scala (Mazeppa), Teatro Comunale, Florence (Madama Butterfly, La Fanciulla del West), Teatro Real, Madrid (Aida, Ernani, The Lady Macbeth of Mtzensk), etc.

He joined Bolshoi Theatre as soloist in 1994 and from 2002 he teaches at the Galina Vishnevskaya Centre for Opera Singing. He is conducting master classes in Germany, Italy, France, Canada and Australia.

Badri Maysuradze is a consultant at Teatro Giuseppe Verdi in Busseto, Italy and Seoul, Korea National Opera. Moreover, he is a manager of the Mstislav Rostropovich International Festival and ART FESTIVAL (Prague and Umbria).

**ბალეტის მეგობრების ახალი სეზონი**

ტრადიციულად, საბალეტო სეზონის გახსნასთან ერთად, პირველი შეკრება გამართა ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებამ. 7 ოქტომბერს საზეიმო მიღება თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა. საზოგადოების მიერ დაწესებული სტიპენდიები გადაეცათ ვ. ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებს. ბალეტის მეგობრები მათ მთელი სასწავლო წლის სწავლის საფასურს გადაუხდინან. ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოება 2006 წლიდან არსებობს.

**ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების სტიპენდიანტები:**

- **ნუსტა ტაქთაკიშვილი** – ლია გოგოლაშვილის სახელობის სტიპენდია (გადაცემულია ნინო ანანიასვილის მიერ)
- **გურამ ელისაშვილი** – იან და ფრანჩესკა კელის სახელობის სტიპენდია (გადაცემულია ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისა და მისი მეუღლის მიერ)
- **ნიკა რუხაძე** – დრ. გრინფილდის სახელობის სტიპენდია (გადაცემულია დრ. კრისტოფერ გრინფილდის მიერ)
- **ბარბარე მელიქიძე** – ტოშიო და ჰარუე კაიტანის სახელობის სტიპენდია
- **სალომე ჩიტაშვილი** – პირჯო ტურკის სახელობის სტიპენდია
- **თათია გულიშვილი** – ქარო ვილკის სახელობის სტიპენდია
- **ქრისტინა მინიშვილი** – ჟანეტ ბლექმენის სახელობის სტიპენდია
- **დავით სიჭინავა** – პამელა ჰლივა-ოლივერის სახელობის სტიპენდია
- **ანანო ტსერედანი** – გიორგი მშვენერაძის სახელობის სტიპენდია
- **ნუსტა ბურჯულაძე** – მაიუმი ინოს სახელობის სტიპენდია
- **მარიამ გედეხაური** – ანდრეას ჰაიდინგსფელდერის სახელობის სტიპენდია



**FRIENDS OF THE GEORGIAN BALLET SEASON OPENING**

The traditional Season Opening and celebratory reception by the Friends of the Georgian Ballet was conducted in the Tbilisi Opera House on 7th October. Students of the V. Chabukiani Tbilisi Ballet Art State School were granted with the traditional Friends' scholarships. These scholarships will cover their tuition fees for a year. The charitable organization Friends of the Georgian Ballet was established in 2006.

**Scholarship Owners:**

- **NUTSA TAKTAKISHVILI** – Lia Gogolashvili Scholarship (awarded by Nina Ananiashvili)
- **GURAM ELISASHVILI** – Ian and Francesca Kelly Scholarship (awarded by the Ambassador of the United States and his wife, Board Member of the Friends of the Georgian Ballet)
- **NIKA RUKHADZE** – Dr Greenfield Scholarship (awarded by Dr Christopher Greenfield)
- **BARBARE MELIKIDZE** – Toshio and Harue Kaitani Scholarship (awarded by the Friends of the Georgian Ballet)
- **SALOME CHITASHVILI** – Pirjo Turk Scholarship
- **TATIA GULISHVILI** – Caro Wilkes Scholarship
- **KRISTINA MIMINOSHVILI** – Jeannette Blackman Scholarship
- **DAVIT SICHINAVA** – Pamela Hlywa-Oliver Scholarship
- **ANANO TSEREDIANI** – Giorgi Mshvenieradze Scholarship
- **NUTSA BURCHULADZE** – Mayumi Ino Scholarship
- **MARIAM GEDEKHAURI** – Andreas Heidingsfelder Scholarship

# სიყვარულისთვის

15, 17 და 19 ივნისს ნინო სურგულაძის საქველმოქმედო ფონდმა – „ნატვრის ხე“, თბილისის ოპერის თეატრის საბალეტო დასის და ორკესტრის მონაწილეობით, თეატრის სცენაზე მაყურებელს მსოფლიო პრემიერა შესთავაზა.

სპექტაკლი „სიყვარულისთვის“ ორი ნაწილისაგან შედგება და ოპერისა და ბალეტის სინთეზს წარმოადგენს, რომელშიც ერთობლივადაა წარმოდგენილი ნინო როტას სუიტაზე (ფედერიკო ფელინის ფილმიდან La Strada) დადგმული ბალეტი და ფრანსის პულენკის მონო ოპერა „ადამიანის ხმა“.

პრეიმ-ბალერინა ნინო ანანიაშვილს ჯულიეტა მამინას ცნობილი კინოპერსონაჟის ჯელსომინას ახალ სასცენო სახეზე მოუხდა მუშაობა. ფედერიკო ფელინის ოსკაროსანი ფილმის „La Strada“-ს მოტივებსა და ნინო როტას ლეგენდარულ მუსიკაზე ბალეტი იტალიელმა ქორეოგრაფმა ჯანლუკა სკიაგონიმ დადგა, რომელიც ლა სკალასა და მსოფლიო სხვა ცნობილ თეატრებში მოღვაწეობს.

ნინო ანანიაშვილი, დიეგო ბუტიგილიონი  
NINA ANANIASHVILI, DIEGO BUTTIGLIONE  
LA STRADA





# For Love

On 15<sup>th</sup>, 17<sup>th</sup> and 19<sup>th</sup> June, Nino Surguladze's Charity Foundation "Desire Tree", with the participation of the Tbilisi Opera and Ballet Theatre and Orchestra, performed a world premiere on our theatre's stage.

The performance For Love consists of two parts, and represents the synthesis of Opera and Ballet—in which ballet and opera are jointly presented. The ballet is staged based on Nino Rota's suite (from Federico Fellini's movie La Strada), and the second act is Francis Poulenc's mono opera The Human Voice.

Prima Ballerina Nina Ananiashvili had to work on the new scenic character of Giulietta Masina's famous movie character Gelsomina. According to the motives of Federico Fellini's Oscar-winning film, La Strada and legendary music by Nino Rota, the ballet was staged by Italian choreographer Gianluca Schiavoni, who works for La Scala and other well-known theatres.



სპექტაკლში „სიყვარულისთვის“, რომლის პირველ ნაწილს წარმოადგენს თანამედროვე ბალეტი, საქართველოს სახელმწიფო ბალეტის მოცეკვავეები მონაწილეობდნენ.

**ნინო ანანიაშვილი, პრიმა-ბალერინა:**

„ძალიან უჩვეულო და საინტერესო შემოთავაზება იყო. ქორეოგრაფიაც განსხვავებულია, პლასტიკაც. ფილმის შინაარსი შენარჩუნებულია. ასე მგონია, რომ მაყურებლისთვის საინტერესო სანახაობა იყო“.

ფედერიკო ფელინის მიერ გადაღებული ფილმის La Strada პროდიუსერი სოფი ლორენის მეუღლე კარლო პონტია. სპექტაკლს თბილისში ამ დიდი შემოქმედებითი ოჯახის უმცროსმა წევრმა კარლო პონტიმ უდირიჟორა, რომლის პრემიერა თბილისში 15 ივნისს გაიმართა.

ცნობილი ქართველი მეცო-სოპრანო ნინო სურგულაძე ამ სპექტაკლის მეორე ნაწილის მთავარი გმირი იყო. პულენკის მონოპერა „ადამიანის ხმა“ მან ქართველი

მსმენელისთვის პირველად იმღერა.

პულენკის ამ ოპერაზე მოკლემეტრაჟიანი ფილმში მთავარი როლი სოფი ლორენმა ითამაშა. ეს ლეგენდარული კინოვარსკვლავის შემოქმედებით კარიერაში ბოლო როლია, რომლის რეჟისორი მსახიობის ვაჟიშვილია.

ნინო სურგულაძე  
„ადამიანის ხმა“  
NINO SURGULADZE  
THE HUMAN VOICE





The first, ballet part of the performance For Love was performed by the dancers of the State Ballet of Georgia.

**Nina Ananiashvili, Prima Ballerina:** “It was a very unusual and interesting idea. Choreography as well as sets were different, but the contents of the movie are preserved. It seems to me that for the audience it was an interesting performance”.

The producer of the movie La Strada, directed by Federico Fellini, was Carlo Ponti, husband of Sophia Loren. A junior member of this great artistic family, Maestro Carlo Ponti was the conductor of the performance which premiered on 15th June in Tbilisi.

Famous Georgian mezzo soprano, Nino Surguladze was the main character of the second part of the performance. She sang Poulenc’s mono opera, The Human Voice for the Georgian audience for first time.

On Poulenc’s opera, in a short film, Sophia Loren played the main role. This is the last role in the career of the legendary movie star. The director of the movie was her son.

**Maestro Carlo Ponti, conductor:** “This performance is full of love, it’s Love precisely that drives all of the performances. The main purpose of this performance is that exactly. We must show them what love can do. Mom is always beside me when I do charity activity. Thus it didn’t take much time for us to think about arriving together in Tbilisi”.



**კარლო პონტი, დირიჟორი:** ეს წარმოდგენა სავესტა სიყვარულით, ზუსტად ის მართავს ყველა მოქმედებას. ამ საღამოს მთავარი მიზანიც ხომ ეს არის. ჩვენ უნდა ვჩვენოთ რა შეუძლია სიყვარულს. დედა ყოველთვის გვერდით მიდგას საქველმოქმედო საქმიანობაში.

ამიტომ, ბევრი არც გვიფიქრია, რომ ჩვენ ერთად ჩამოვიდოდით თბილისში“.

ნინო სურგულაძის საქველმოქმედო ფონდის მიერ დადგმული უჩვეულო საოპერო და საბალეტო წარმოდგენების სინთეზს თბილისში სოფი ლორენი დაესწრო.

**ნინო სურგულაძე, მეცო-სოპრანო, ფონდის „ნატერის ხე“ დამფუძნებელი:** „ეს იყო დიდი კულტურული მოვლენა და რაც მთავარია ადამიანების გაერთიანება „ნატერის ხის“ გარშემო, იმისთვის, რომ რეალურად მოვახერხოთ გადავარჩინოთ ბავშვები, როგორც ეს აქამდე გაგვიკეთებია“.



ფრანკ ვან ტონგერენი  
FRANK VAN TONGEREN

15 ივნისის საქველმოქმედო სპექტაკლიდან შემოსული თანხა მთლიანად

გადარიცხა მძიმე სენით დაავადებული ბავშვების მკურნალობისთვის.





სოფია ლორენი  
SOPHIA LOREN

**Marco Gardini, director:** “A very interesting performance came together. After Fellini and Poulenc, we had a huge responsibility. We tried to choose the best priorities

for presenting great emotions in a proper way”.

Sophia Loren attended the performance of this synthesis of opera and ballet organized by

Nino Surguladze’s charity fund.

**Nino Surguladze, mezzo soprano, founder of the Charity Foundation “Desire Tree”:** This was a great cultural

event and the main point is that we all gathered around the “Desire Tree” to save children, as we’ve done before”.

On 15<sup>th</sup> June world-renowned movie

star Sophia Loren attended the charity performance as guest of honour. The sum raised from the performance was transferred to support the treatment of children with serious diseases.



## ლილიანა მითაიშვილის იუბილე

საქართველოს სახალხო არტისტს, საბალეტო დასის პედაგოგ-რეპეტიტორს, ქალბატონ ლილიანა მითაიშვილს 17 სექტემბერს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა და მისმა ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმა ქალბატონ ლილიანას იუბილე ბალეტის სარეპეტიციო დარბაზში, რეპეტიციის დაწყების წინ, მიულოცეს.

საქართველოს სახელმწიფო ბალეტი, პედაგოგები, ადმინისტრაცია გულითადად ულოცავენ ქალბატონ ლალას დაბადების დღეს და უსურვებენ მხნეობას, ბენიერებას. კიდევ მრავალი წელი გელავაწოთ ქალბატონო ლილიანა ქართული ბალეტის მომავალი თაობების აღსაზრდელად.



THE ANNIVERSARY OF MRS. LILIANA MITAISHVILI

Mrs. Liliana Mitaishvili, People's Artist of Georgia, and SBG's ballet master, turned 80 on 17th September. The State Ballet of Georgia and its Artistic Director, Nina Ananiashvili, congratulated Mrs. Mitaishvili at the rehearsal hall of the ballet, before a rehearsal. Artistic Director of the State Ballet of Georgia, the Ballet Company, coaches and administration wholeheartedly congratulate her once again and wish her health and happiness. May god bless you to raise future generations of Georgian Ballet, Ms. Liliana.

## #გიონუსასათვის



11 ოქტომბერს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ნინო ანანიაშვილის, საქართველოს სახელმწიფო ბალეტის და თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრის მონაწილეობით გაიმართა გალა-კონცერტი ქართველი რაგბისტის გიორგი ლომინაძის და მისი მეუღლის ნუსა გუნცაძის დასახმარებლად.

კონცერტის გამართვის გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც გიორგი ლომინაძის და ნუსა გუნცაძის მეგობრებმა საქველმოქმედო კამპანია – „წუთიერი ხმაური“ წამოიწყეს. გიორგი და ნუსა ბაფხულში, ქუთაისთან მომხდარი ტრაგიკული ავტოკატასტროფის დროს მძიმედ დაშავდნენ. მათი მკურნალობისა და რეაბილიტაციის მიზნით, საკმაოდ სოლიდური თანხა შეგროვდა. გიორგის და ნუსას რამდენიმე ოპერაცია ჩატარდა და ახლა სარაბილიტაციო კურსს გადიან.

გალა-კონცერტზე მაყურებელმა ნახა თანამედროვე ქორეოგრაფის საშა ევტიმოვას მიერ, საქართველოს სახელმწიფო ბალეტისათვის 2012 წელს დადგმული ერთმოქმედებიანი ბალეტი – „საიდუმლო ბაღი“. მეორე მოქმედებაში წარმოდგენილი იქნა საბალეტო დივერტისმენტი – დუეტები და ვარიაციები კლასიკური ბალეტებიდან. გალა-კონცერტში მონაწილეობა მიიღო პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილმა, რომელმაც შეასრულა მიხაილ ფოკინის საბალეტო მინიატურა – „მომაკვდავი გედი“. გალა-კონცერტის დასასრულს საბალეტო დასმა ერთმოქმედებიანი ბალეტი „საგალობელი“ იცეკვა.

## CHARITY EVENING

On 11<sup>th</sup> October, the Tbilisi Z.Paliashvili State Opera and Ballet Theatre with the participation of Nina Ananiashvili, State Ballet of Georgia and Tbilisi Opera Theatre Orchestra conducted a Gala Concert in order to help Georgian rugby player Giorgi Lominadze and his wife, Nutsa Guntsadze.

The decision about organizing the concert was made after friends of Giorgi Lominadze and Nutsa Guntsadze had started a charitable campaign “The Moment of Clamor”. Giorgi and Nutsa were injured in a tragic car accident at Kutaisi in the summer. Their friends started to raise funds with the purpose of supporting the couple’s treatment and rehabilitation. Several surgeries were made to Giorgi and Nutsa and currently they’re going through rehabilitation course.

At the Gala Concert the audience watched one-act ballet *The Secret Garden*, produced for the State Ballet of Georgia by contemporary choreographer Sasha Evtimova in 2012. The second act consisted of ballet Divertissements, duets and variations from classical ballets. Nina Ananiashvili participated in the Gala-Performance; she performed the Mikhail Fokine’s ballet miniature, the *Dying Swan*. At the final part of the Gala Performance, the ballet company performed one-act ballet *Sagalobeli*.

**გასტროლი ესპანეთში**

7-19 დეკემბერს ესპანეთში საქართველოს სახელმწიფო ბალეტის გასტროლი შედგა. სპექტაკლები გაიმართა ქალაქებში პამპლონა, ლეონი, ვიტორია, ალიკანტე და ლოგრონო. საბალეტო დასმა გასტროლზე მყურებელს უჩვენა პეტრე ჩაიკოვსკის „მკანატუნა“ (ალექსეი ფადეევის ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა) და იგორ სტრავინსკის „ფასკუნჯი“ (მიხაილ ფოკინის ქორეოგრაფია, ანდრის ლიეპას რედაქცია და დადგმა). პროგრამაში ასევე წარმოდგენილი იყო ირჟი კილიანის ერთმოქმედებიანი ბალეტი „Sechs Tänze“. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის გასტროლი ესპანეთში 18 დეკემბერს, ქალაქ ლოგრონოში „მკანატუნას“ წარმოდგენით დასრულდა.

საქართველოს სახელმწიფო ბალეტი, ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით, მეხუთე წელია თანამშრომლობს ესპანელ პროდიუსერებთან და ესპანეთის სხვადასხვა ქალაქში ყოველწლიურად მართავს სპექტაკლებს.

**STATE BALLET OF GEORGIA'S TOUR TO SPAIN**

From December 7<sup>th</sup> till December 19<sup>th</sup>, State Ballet of Georgia was on tour to Spain. The performances were conducted in the cities of Pamplona, Leon, Vitoria, Alicante, and Logrono. On tour ballet company presented Nutcracker by Pyotr Tchaikovsky (choreographic edition and staging by Alexei Fadeechev) and Firebird by Igor Stravinsky (choreography by Mikhail Fokine, edition and staging by Andris Liepa), the program also included one-act ballet „Sechs Tänze“ by Jiri Kylian. State Ballet of Georgia’s tour in Spain was finished on 18<sup>th</sup> of December, in the city of Logrono with the performance of Nutcracker.

It has been the fifth year since State Ballet of Georgia under the guidance of Nina Ananiashvili cooperates with the Spanish producers and conducts the performances in different cities of Spain.



**საბალეტო ფესტივალი ფუკუოკაში**

საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სოლისტების ფრენკ ვან ტონგერენისა და მაჩი მუტოს ინიციატივითა და ორგანიზებით, იაპონიის ქალაქ ფუკუოკაში, წელს დაარსდა ფუკუოკას საერთაშორისო საბალეტო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მოცეკვავებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ფუკუოკას საბალეტო ფესტივალი 27 ივლისს გაიხსნა. ფესტივალის გალა-კონცერტებზე, მყურებლის წინაშე წარსდგნენ საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სოლისტები ნუცა ჩეკურაშვილი, იონენ ტაკანო, ფრენკ ვან ტონგერენი, მაჩი მუტო. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ვორკშოპები. უცხოელ კოლეგებთან ერთად ვორკშოპებში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სოლისტები უილიამ პრატი, კარინ ვაშიო, ფრენკ ვან ტონგერენი, მაჩი მუტო. ფუკუოკას შემდეგ ვორკშოპები გაგრძელდა ქალაქ კიოტოში.

**FUKUOKA INTERNATIONAL BALLET FESTIVAL**

Soloists of State Ballet of Georgia, Frank van Tongeren and Machi Muto initiated and organized Fukuoka International Ballet Festival in the Japanese city of Fukuoka. The participants of the festival were ballet dancers from various countries of the world. The Festival officially began on 27<sup>th</sup> July 2016; Nutsa Chekurashvili, Yonen Takano, Frank van Tongeren, Machi Muto, William Pratt and Karin Washio, who are soloists at the State Ballet of Georgia, were not only performing during the Gala Concerts, but also participating in workshops together with their foreign counterparts. After Fukuoka, workshops continued in Kyoto.





# 16 JULY 2016

GRAND PRIX REUNION GALA

## ჯექსონის საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე



დიდი წარმატებით ჩაიარა ჯექსონის საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე საქართველოს სახელმწიფო ბალეტის გამოსვლამ. ჯექსონში დასმა სამი ერთმოქმედებიანი ბალეტი: „კონჩერტო ბაროკო“ (ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია), „საგალობელი“ (იური პოსოხოვის ქორეოგრაფია) და „მარგარიტა და არმანი“ (ფრედერიკ ეშტონის ქორეოგრაფია) წარუდგინა მყურებელს. საბალეტო დასი კონკურსის ორგანიზატორებმა, სპეციალურად ნინო ანანიაშვილის და ანდრის ლიეპას მიერ, ჯექსონის კონკურსზე გრან-პრის მიღების 30 წლის იუბილეს აღსანიშნავად მიიწვიეს. ნინო ანანიაშვილმა გალა-კონცერტზე „მომაკვდავი გედი“ იცეკვა.

„დიახ, ეს ის არის! შაბათ საღამოს, აშშ-ს საერთაშორისო საბალეტო კონკურსის აუდიტორია პრიმა-ბალერინასა და

სამხატვრო ხელმძღვანელის ნინო ანანიაშვილის მიერ შესრულებული „მომაკვდავი გედი“ მყურებელი გახდა. მან ეს პირადად მიუძღვნა აშშ-ს საერთაშორისო ბალეტის კონკურსის საბჭოს თავჯდომარეს ემერიტუს უილიამ დ. მოუნგერს, რომელიც ამ ღონისძიების მფარველია 1986 წლიდან და ამასთან არის Grand Prix Reunion Gala-ს მთავარი სპონსორი. ნინოს ეს გამოსვლა იყო სიურპრიზი პროგრამაში და ჩვენ ამაყები ვართ, რომ გავხვდით ამის მონაწილეები. მადლობა ნინო ანანიაშვილსა და ვილიამ დ. მოუნგერს“- წერდა კონკურსის ოფიციალური ვებ-გვერდი.

„ამ საღამოს ჩვენ ყველანი ქართველები ვართ. ნინო ანანიაშვილმა და საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა მყურებლის ყურადღება მიიქცია ამღელვებელი დასასრულით, შაბათ





# USA International Ballet Competition in Jackson, Mississippi

The performance by the State Ballet of Georgia at the USA International Ballet Competition in Jackson, Mississippi met with great success. The company presented three one-act ballets: Concerto Barocco, (George Balanchine's choreography), Sagalobeli (Yuri Possokhov's choreography) and Marguerite and Armand (Frederick Ashton's choreography). The Ballet Company was invited to the Competition on the special occasion of celebrating the 30-year anniversary of Nina Ananiashvili and Andris Liepa receiving the Competition's Grand Prix. Nina Ananiashvili danced The Dying Swan at the Gala Concert.

"Yes, this is it!", the USA International Ballet Competition's audience was presented The Dying Swan by Prima Ballerina and Artistic Director Nina Ananiashvili that Saturday evening – her personal tribute to USA IBC Board Chairman Emeritus William D.

Mounger, grand patron of the USA IBC since 1986 and major sponsor of the Grand Prix Reunion Gala. It was Nina's surprise addition to the program, and we were proud to share in the moment. Thank you, Nina Ananiashvili and William D. Mounger!

"Tonight, we are all Georgians!" – Nina Ananiashvili and the State Ballet of Georgia impressed the audience with their rousing conclusion to the performance in Jackson, Mississippi. Yuri Possokhov's Sagalobeli moved all with Georgian melodies, manifested by the company's blend of artistry and energy. Just when we thought it was over, Nina captivated with her entrance in traditional Georgian costume, proudly waving the Georgian flag. Love from the audience and from the stage in equal parts! This is what the USA International Ballet Competition is all about.



ნინო ანანიაშვილი „მომავალი პედი“  
NINA ANANIASHVILI. THE DYING SWAN

სალამოს, წარმოდგენაზე, ჯექსონში, მისისიპში. იური პოსოხოვის „საგალობელმა“ გული აუჩუყა ყველას ქართული მელოდიებით. ზუსტად მაშინ, როცა გვეგონა, რომ წარმოდგენა დამთავრდა, ნინომ, ქართულ ტრადიციულ კოსტიუმში გამოწყობილმა, თავისი შემოსვლით დაგვატყვევა. იგი სიამაყით არხევდა ქართულ დროშას. სიყვარული თანაბრად იგრძნობოდა როგორც აუდიტორიისაგან, ისე კულისებიდან!“

საქართველოს სახელმწიფო ბალეტის გამოსვლა ჯექსონში 2016 წლის 16 ივლისს, მათი რეპერტიციები, გალა-სალამო და სხვა შეხვედრები ფოტოზე აღბეჭდა Richard Finkelstein-მა. ფოტოების მოწოდებისთვის მას დიდ მადლობას ვუხდით.



ნინო ანანიაშვილი,  
ფრანკ ვან  
ტონგერენი.  
„მარგარიტა  
და არმანი“  
NINA ANANIASHVILI,  
FRANK VAN  
TONGEREN  
MARGUERITE  
AND ARMAND



CONCERTO BAROCCO

„საგალობელი“. სოლისტი – იონენ ტაკანო  
 SAGALOBELI. SOLOIST – YONEN TAKANO



The performance of the State Ballet of Georgia in Jackson on 16th July 2016, as well as their rehearsals and other meetings were photographed by Richard Finkelstein.



ნუცა  
 ჩეკურაშვილი,  
 იონენ ტაკანო  
 NUTSA  
 CHEKURASHVILI,  
 YONEN TAKANO



ეკატერინე სურმავა,  
 დავით ანანელი.  
 „საგალობელი“  
 EKATERINE SURMAVA,  
 DAVIT ANANELI.  
 SAGALOBELI



WORLD BALLET  
STARS IN JAPAN

At the Bunka Kaikan Theatre of Tokyo, Gala Concerts dedicated to the 40-year anniversary of Japan Arts Corporation were conducted in July 2016. Participants of the All Star Ballet Gala were Alessandra Perri, Herman Cornejo, Marcelo Gomes, Gillian Murphy and Cassandra Trenary of the American Ballet Theatre; Svetlana Zakharova and Mikhail Lobukhiv of the Moscow Bolshoi Theatre; Ulyana Lopatkina and Andrey Ermakov from the Mariinskiy Theatre; Mathias Heymann the Opera National de Paris. Nina Ananiashvili was invited to participate in the Gala Concerts – in Tokyo she danced the pas de deux from the ballet *Giselle*, adagio from the ballet *Swan Lake* (with Marcelo Gomes), Fokine's *Dying Swan* and Georgian dance *Lekuri*. Director of the Gala Concerts was Alexei Ratmansky. The second "World Ballet Stars" Gala Concert was conducted on 30th July in Osaka.

მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები იაპონიაში

ტოკიოში, ბუნკა კაიკანის თეატრში, Japan Arts Corporation-ის 40 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გალა-კონცერტები 2016 წლის ივლისში გაიმართა. All Star Ballet Gala-ში მონაწილეობდნენ – ალესანდრა ფერი, ჰერმან კორნეხო, მარსელო გომესი, ჯულიან მერფი და კასანდრა ტრენარი ამერიკის ბალეტის თეატრიდან, სვეტლანა ზახაროვა და მიხაილ ლობუხივი მოსკოვის დიდი თეატრიდან, ულიანა ლოპატკინა და ანდრეი ერმაკოვი მარიას თეატრიდან, მათიას ჰეიმანი გრანდ ოპერიდან. გალა-კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყო ნინო ანანიაშვილი, რომელმაც ტოკიოში იცეკვა პა დე დე ბალეტიდან „ჟიზელი“, ადაჯიო ბალეტიდან „გედების ტბა“ (მარსელო გომესთან ერთად), ფოკინის „მომკვდავი გედი“ და „ლეკური“. გალა-კონცერტების რეჟისორი ალექსეი რატმანსკი გახლდათ. 30 ივლისს მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავების გალა-კონცერტი ოსაკაში გაიმართა.

**„ბაიადერა“ პეკინის ცეკვის  
აკადემიაში**

პეკინის ცეკვის აკადემიაში ნინო ანანიაშვილმა, რომელიც ამ აკადემიის პროფესორია, ლ. მინკუსის „ბაიადერას“ მესამე მოქმედება („აჩრდილები“) დადგა. პრემიერა აკადემიის თეატრში 7 ნოემბერს გაიმართა. დადგმაზე ასევე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სამხტვრო ხელმძღვანელის და დამდგმელი ბალეტმაისტერის ასისტენტი ეკატერინე შავლიაშვილი. ნინო ანანიაშვილმა ჩინეთის ცეკვის აკადემიაში 2011 წელს დადგა „შოპენიანა“, ხოლო 2012 წელს „მაკნატუნა სუიტა“.

**LA BAYADÈRE AT BEIJING DANCE  
ACADEMY**

At the Beijing Dance Academy, where Nina Ananiashvili is a visiting professor, she staged the third act (Shadows) of L. Minkus' *La Bayadère*. The premiere was held on 7<sup>th</sup> November 2016. Ekaterine Shavliashvili, assistant to the artistic director of State Ballet of Georgia and staging ballet master, took part in the process of staging.

Previously, Nina Ananiashvili staged Chopiniana at the Beijing Dance Academy in 2011, and Nutcracker Suite in 2012.





# ვერა წიგნაძე Vera Tsignadze

21 ივნისს, ვერა წიგნაძე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან გამოასვენეს და თეატრის ეზოში დაკრძალეს. სამგლოვიარო ცერემონია გაიმართა თბილისის ოპერის თეატრში, რომელზეც გამოვიდნენ ვერა წიგნაძის შემოქმედების თაყვანისმცემლები, მისი მოსწავლეები, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები.

On 21st June, at 2 p.m., Vera Tsignadze was carried out from the Tbilisi Opera and Ballet Theatre and buried in the yard of the Theatre. The funeral ceremony was conducted at the Tbilisi Opera and Ballet Theatre, where admirers of the creative work of Vera Tsignadze, her students and the representatives of the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia gave their speeches.



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ლეგენდარული ბალერინა, ქართული ბალეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს სახალხო არტისტი, მრავალი სახელმწიფო პრემიის, საერთაშორისო კონკურსისა და ფესტივალის ლაურეატი ვერა წიგნაძე.

ვერა წიგნაძის ღვაწლი ქართული ბალეტის განვითარებაში ფასდაუდებელია. მან ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად, მთელი ეპოქა შექმნა. ქალბატონი ვერას მიერ სცენაზე გაცოცხლებული გმირები გამოირჩეოდნენ პოეტურობით, რომანტიკული გამომსახველობით, მოძრაობის სიმსუბუქითა და სცენური მომხიბვლელობით.

1946 წლიდან კი ვახტანგ ჭაბუკიანის მოწვევით ვერა წიგნაძე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი მოცეკვავე და ვახტანგ ჭაბუკიანის უცვლელი პარტნიორი იყო. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე სამი ათეული წელი იცეკვა, შემდეგ კი პედაგოგიური მოღვაწეობა გააგრძელა.

2007 წელს პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილის ინიციატივით, „გედის თანავარსკვლავედში“ ორ უსახელო ვარსკვლავს ვახტანგ ჭაბუკიანისა და ვერა წიგნაძის სახელები დაერქვა. ორი ქართველი განუყრელი ვარსკვლავი საერთაშორისო ასტრონომიულ კატალოგში იქნა შეტანილი და მათი სახელები მარადიულად კაშკაშებს.

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის  
სამინისტრო**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის  
ოპერისა და ბალეტის თეატრი**

The Ministry of Culture and Monument Protection of Georgia and the Z. Paliashvili Opera and Ballet Theatre announces with great grief that legendary ballerina, one of the founders of Georgian Ballet, Georgian national artist, laureate of various state prizes, international competitions and festivals, Vera Tsignadze has passed away.

The merit of Vera Tsignadze for the development of Georgian Ballet is invaluable. She created a whole new epoch with Vakhtang Chabukiani. Characters revived by Ms. Vera are exceptional because of their poetic, romantic expressiveness, lightness of motion and scenic charm.

Since 1946, at the invitation of Vakhtang Chabukiani, Vera Tsignadze was a leading soloist at the Tbilisi Opera and Ballet Theatre and irreplaceable partner of Vakhtang Chabukiani. On the stage of the Tbilisi Opera and Ballet Theatre, she had been dancing for three decades, afterwards she continued her pedagogical activities.

In 2007, under the initiative of Prima Ballerina Nina Ananiashvili, two nameless stars were given the names of Vakhtang Chabukiani and Vera Tsignadze in the “Swan’s Constellation”. Two Georgian inseparable stars were added to the astronomical catalogue, and their names will be shining forever.

**Ministry of Culture and Monument Protection of Georgia  
Z. Paliashvili Opera and Ballet Theatre**



**მიხეილ გიორგაძე, საქართველოს  
კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი:**

დარწმუნებული ვარ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეშივე ისტორიის კუთვნილება ხდებიან და გადაუტარებლად შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონი ვერა ამ ადამიანთა შორისაა. ის წლების განმავლობაში ქმნიდა დაუვიწყარ სახეებს, დაუვიწყარ სპექტაკლებს და თავისი გამორჩეული სტილით, ცეკვის გამორჩეული მანერით, აოცებდა მაყურებელს. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, როცა რკინის ფარდა ყოფდა მსოფლიოს, მან შეძლო და ააღაპარა უცხოეთის პრესა მისი განუმეორებელი შესრულებით. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა სცენაზე ვახტანგ ჭაბუკიანი იდგა და როგორც ამბობენ, ბალერინები ერიდებოდნენ კიდევ მასთან ერთად სცენაზე გამოსვლას. რადგან ჭაბუკიანი, ბუნებრივია, გამოჩენისთანავე მაყურებლის ცენტრში იყო. ქალბატონი ვერა იყო ის გამონაკლისი, რომელმაც ეს შეძლო. ის ჭაბუკიანის უცვლელი პარტნიორი გახლდათ. გასულ წელს მქონდა ბედნიერება, მისი 90 წლის იუბილეზე, ქალბატონი ვერასთვის გადამეცა კულტურის სამინისტროს უმაღლესი ჯილდო – „ხელოვნების ქურუმი“.

**MIKHAIL GIORGADZE, Ministry of Culture and  
Monument Protection of Georgia:**

I am sure that there are people, who even during their lifetime, become the part of history and without any exaggeration it can be said, that Ms. Vera was among them. For years she had been creating unforgettable characters, unforgettable performances and with her special manner of dance she used to surprise the audiences. Even during the time of the Soviet Union, when the Iron Curtain was dividing the world into two parts, through her unique performances, she managed to draw the attention of the international press. This was happening when Vakhtang Chabukiani was pursuing his performing career, and, as they say, the ballerinas would appear almost invisible when performing with him on stage. It was due to the reason that, effortlessly, as soon as he appeared, Chabukiani was the centre of attention. Ms. Vera was the exception who could make it. She was the irreplaceable partner of Vakhtang Chabukiani. Last year, on her 90th anniversary, I had the pleasure and honour to hand over to Ms. Vera the highest award of the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia – “The Priest of Art”.





**DODO KHURTSILAVA, Theatre critic:**

We're suffering a great sorrow, but one that is accompanied with some light. In general, we suffer sorrow when a person passes away, without whom it's hard to imagine living. But you know that she did everything in order to bring a great happiness and joy to people's lives. And the most important thing is that she spent her entire life on to make not only Georgian Ballet, but also Georgian Art to stand on the height where they are right now. This is very important. She arrived at the theatre when the theatre had been expecting a change, and she manifested that. On one side, there was Vakhtang Chabukiani, on the other, Zurab Kikaleishvili. This woman arrived and gave birth to those performances without which not only Georgian Ballet would be unimaginable, but the entire Georgian Art scene, as well. She danced almost all the main parts that a ballerina may wish for, but the main thing that she had done is that she danced at the first Georgian Ballet. According to my parents, when she arrived in Tbilisi, all the women were looking at her with love and admired her. Everyone wanted to dress the way Vera did. Everyone wanted to have the same hairstyle she had. But whom would those fit as fine as they did her.

**მაკა მახატაძე, ბალერინა:**

ძნელია დაივიწყო ვერა წიგნაძე, ერთხელ მაინც თუ გინახავს სცენაზე. რამდენი სიხარული და ბედნიერება აჩუქა მან ათიათასობით მაყურებელს. ქართული ბალეტის უკანასკნელი მოჰიკანი წავიდა, წავიდა ქართული ბალეტის ოქროს ეპოქის წარმომადგენელი – ვახტანგ ჭაბუკიანის ეპოქა რომ ერქვა. წავიდა ვერაჩკა, არაჩვეულებრივი ადამიანი, ვისაც განსაკუთრებული სიყვარულით მოვიგონებთ მისი მოსწავლეები, რომლებიც ყოველთვის ვგრძნობდით მის ძლიერ მხარს და სწორედ, მისი მოსწავლეების სახელით მინდა დიდი მადლობა ვუთხრა მას და თავი დაბლა დავუხარო. დიდი მადლობა ჩემო ვერუშკა, როგორც მთელი ცხოვრება ვეძახდი!

**დოდო ხურცილავა, თეატრმცოდნე:**

დიდი სევდა გიპყრობს, მაგრამ ისეთი რომელსაც ნათელი ახლავს. ეს სევდა გიპყრობს მაშინ, როცა მიდის ისეთი ადამიანი, რომლის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. მაგრამ შენ იცი, რომ მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ადამიანებისთვის დიდი ბედნიერება მიენიჭებინა, სიხარული ეჩუქებინა. რაც მთავარია, მან მხოლოდ მთელი თავისი ცხოვრება დახარჯა იმისთვის, რომ მხოლოდ ქართული ბალეტი კი არა, არამედ ქართული ხელოვნება ყოფილიყო იმ სიმაღლეზე, რომელზეც ეხლა არის. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. იგი თეატრში მოვიდა მაშინ, როცა თეატრი ორსულად იყო და ელოდებოდა ქალს. ერთ მხარეს იყო – ჭაბუკიანი, მეორე მხარეს – ზურაბ კიკაღვიშვილი. მოვიდა ეს ქალი და გააჩინა ის სპექტაკლები, რომლის გარეშე წარმოუდგენელია არა მხოლოდ ქართული ბალეტი, არამედ სრულიად ქართული ხელოვნება. მან იცეკვა თითქმის ყველა წამყვანი პარტია, რის ცეკვაც შეიძლება ინატროს ბალერინამ, მაგრამ ყველაზე მთავარი რაც გააკეთა – იცეკვა პირველ ქართულ ბალეტებში.



**MAKA MAKHATADZE, Ballerina:**

It would be impossible to forget Vera Tsignadze after having seen her on stage even once. How much joy and happiness she's given to the thousands of spectators... The last Mohican of Georgian Ballet passed away, representative of the Georgian Ballet's Golden Era, named after Vakhtang Chabukiani, is gone. "Verachka" is gone, a wonderful person. We, her students, who would feel her strong support, will always recall her with special love. On behalf of her students, I would like to say thank you and express my respect towards her. Thank you very much, my "Verushka", as I used to call her during our whole lives.

# ფოკინის სტილით შთაგონება XXI საუკუნეში Inspiration from Fokine's Style in the 21<sup>st</sup> Century

ჟურნალ „არაბესკის“ რედაქტორი  
ილია თავბერიძე ესაუბრა  
ფილოსოფოსს და თანამედროვე  
ცეკვის მკვლევარს  
ხათუნა მზარელუას

Ilia Tavberidze, editor of the  
“Arabesque” Magazine interviewed  
philosopher and researcher of  
the contemporary dance,  
Khatuna Mzarelua



პარიზში, დიაგილევის პირველი „რუსული სეზონების“ პროგრამაში „შოპენიანა“ აჩვენეს „სილფიდების“ სახელწოდებით. დასათარების შეცვლა ბენუას იდეა იყო და ევროპაში ეს ბალეტი დღემდე ამ სახელითაა ცნობილი, რუსეთში კი მისი თავდაპირველი სახელწოდება „შოპენიანა“ გამოიყენება, ის ხომ ფოკინმა იქ, პეტერბურგში, მარიას თეატრში, დადგა. თქვენი აზრით დიაგილევისა და ბენუას მიერ ფოკინის ბალეტის სახელწოდების ცვლილებაში ხომ არ უნდა ვეძიოთ გარკვეულ ესთეტიკაზე, სტილზე ხაზგასმას ან მინიშნება?

ინტერვიუს დასაწყისში, ბალანჩინის სიტყვებს გავიხსენებ. დიდი ქორეოგრაფი ამბობს, რომ ცნობილი რუსი იმპრესარიოსა და ხელოვნებათმცოდნის, სერგეი დიაგილევის მიერ შექმნილი კომპანიის, „რუსული ბალეტების“ პირველი პარიზული სეზონის ქორეოგრაფს, მიხაილ ფოკინს ესთეტიკური ძიებები ხიბლავდა. ბალანჩინი უფრო შორს მიდის და იმასაც

In Paris, in Diaghilev's first "Russian Seasons" program, *Chopiniana* was displayed under the title *Les Sylphides*. The idea of changing the title belonged to Benois and this ballet is known with this title in Europe – what about Russia, where its original title is used? Fokine staged it there, in St. Petersburg, at the Mariinsky Theatre. What do you think, should we search for any emphasis or hint on certain aesthetics and style in changing the title of Fokine's ballet by Diaghilev and Benois?

At the beginning of the interview I would like to recall Balanchine's words. The great choreographer says that Mikhail Fokine, first Parisian Season's remarkable choreographer of the Russian Ballets, a company which was founded by famous impresario and art critic Sergei Diaghilev, was fascinated with the aesthetic search. Balanchine goes further and even "discloses" to the author Solomon Volkov, that sometimes Sergey



„უმხელს“ მწერალ სოლომონ ვოლკოვს, რომ, ზოგჯერ, სერგეი დიაგილევი დეკორაციასა და კოსტიუმს მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, შეიძლება იმით, რომ მასზე ფოკინთან თანამშრომლობამ იმოქმედა, ეს უკანასკნელი ხომ საოცრად გატაცებული იყო მხატვრობით, დეკორაციით, კოსტიუმით. მართლაც, ცნობილია, რომ დიაგილევი და ფოკინი თანამოაზრეები იყვნენ და ბალეტის ესთეტიკური მხარით განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებულები.

კოსტიუმს უკავშირდება „შოპენიანას“ ახალი სახელწოდება, „სილფიდები.“ ეს უკანასკნელი ფრანგული წარმოშობის რუსმა ფერმწერმა, თეატრის მხატვარმა და ხელოვნების ისტორიკოსმა ალექსანდრ ბენუამ მოიფიქრა. მანვე შექმნა „შოპენიანას“ ახალი ვერსიის კოსტიუმები, რისი შთაგონების წყაროც გამხდარა ლეგენდარული მოცეკვავის, მარია ტალიონის გრძელი და ჰაეროვანი კაბა ბალეტ „სილფიდაში“, რომლის პრემიერაც 1832 წლის 12 მარტს შედგა.

ცეკვის, მუსიკის, დეკორაციისა და კოსტიუმის ჰარმონიული, აქამდე უცნობი შერწყმა/ერთობა და დეკორაციებისა და კოსტიუმების არნახული სილამაზე პარიზში „რუსული სეზონების“ ფარგლებში წარმოდგენილი ბალეტების ერთ-ერთი ნოვატიაა, მაგრამ, ვფიქრობ, „შოპენიანასთვის“ სახელის შეცვლა, პირველ რიგში, უკავშირდება რომანტიკული ბალეტების ახლებური წაკითხვის სურვილს. რატომ რომანტიკული ბალეტების? მათ ხომ კლასიკური საბალეტო რეპერტუარის მწვერვალებად მიიჩნევენ. სერგეი დიაგილევმა და მისმა გუნდმა აიღეს ის, რაც საუკეთესო იყო, თუმცა მივიწყებული, უფრო დახვეწეს, უფრო მეტად ემოციური თუ პოეტური გახადეს, სათანადო დეკორაციები და კოსტიუმები შეუხამეს, ბალეტში საუკეთესო მოცეკვავეები დააკავეს, კერძოდ ვაცლავ ნიჟინსკი, ანა პავლოვა, თამარა კარსავინა და ალექსანდრა ბალდინა და, რა გასაკვირია, რომ ერთმოქმედებიანი ბალეტის, „სილფიდების“ პრემიერამ 1909 წლის 2 ივნისს, პარიზის შატლეს თეატრში, ისეთივე ფურორი მოახდინა, როგორც ამ წლის სეზონის სხვა ბალეტებმა.

Diaghilev used to pay unusual attention on decoration and costumes. Maybe it's due to the reason that he was influenced by working with Fokine. The latter was amazingly passionate with painting, decoration, costume. Indeed, it's known that Diaghilev and Fokine were like-minded persons, and used to give equal importance to the ballet's aesthetic side.

Chopiniana's new title, *Les Sylphides* is related to the costume. The latter was invented by the theatre's painter and art historian, Alexandre Benois. He also created new costumes for *Chopiniana*'s new version. The source of inspiration for him was the long, aerial dress of legendary dancer Marie Taglioni in the ballet *La Sylphide*, the premiere of which was conducted on 12 March 1832.

Harmonic and previously unknown convergence of dance, music, decoration and costume, and unprecedented beauty of the costumes themselves is an innovation of ballets performed within the framework of the Russian Seasons in Paris. But I think, that change of the name of *Chopiniana*, firstly, is related to the desire to grasp the essence of romantic ballets in a new way. Why the romantic ballets? – whether they're considered as the vertex of the classical balletic repertoire. Sergei Diaghilev and his team took what was the best, but forgotten. They improved it, made it more emotional or poetic, conformed them with proper decorations and costumes. The best ballet dancers were engaged, namely Vaslav Nijinsky, Anna Pavlova, Tamara Karsavina, Alexandra Baldina; thus there is no wonder that the premiere of one-act ballet *Les Sylphides*, on 2nd June 1909, at the Chatelet Theatre of Paris, caused the same furore as other ballets of that season.

Evidence of the value of one of Fokine's masterpieces, *Les Sylphides*, is that in Paris, on the playbill of the first Russian Season, famous Russian painter Valentin Serov portrayed Anna Pavlova, dressed in the aerial dress of *Les Sylphides*.



ნუსა ჩეკურაშვილი, ნინო ანანიაშვილი,  
ფრანკ ვან ტონგერენი. „შოპენიანა“  
NUTSA CHEKURASHVILI, NINA ANANIASHVILI,  
FRANK VAN TONGEREN. *CHOPINIANA*

ფოკინის ერთ-ერთი შედეგის, „სილფიდების“ მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ პარიზში პირველი რუსული სეზონის აფიშაზე, რომლის ავტორი გახლდათ ცნობილი რუსი მხატვარი ვალენტინ სეროვი, სილფიდას ჰაეროვან კაბაში გამოწყობილი ანა პავლოვა იყო გამოსახული.

**როგორი იყო პარიზის რეაქცია დიაგილევის პირველ რუსულ სეზონებზე და კონკრეტულად „შოპენიანაზე“?**

როგორც ფრანგი ცეკვის კრიტიკოსები წერენ, ბალეტი „შოპენიანა“, რომლის პრემიერაც 1907 წლის 23 თებერვალს შედგა პეტერბურგის მარიას თეატრში, ცნობილმა და გამორჩეულმა ქორეოგრაფმა მიხაილ ფოკინმა კიდევ უფრო დახვეწა, სრულყო და ამ ახალი სახითა და ახალი სახელწოდებით, „სილფიდები“ დადგა „რუსული ბალეტების“ პირველი სეზონის ფარგლებში. ცნობილია, რომ სერგეი დიაგილევი „სილფიდებს“ თავისი კომპანიის რეპერტუარის მარგალიტს უწოდებდა, რომელიც განსაკუთებით უყვარდა.

მიხაილ ფოკინის „სილფიდები“ ულამაზესი, ლივლივა, რომანტიკული ბალეტია.

**What kind of reaction did Paris have on Diaghilev’s first Russian Season and namely, on Chopiniana?**

As French critics wrote, the ballet *Chopiniana*, which premiered on 23rd February 1907 at the Mariinsky Theatre of St. Petersburg, was improved by Mikhail Fokine, and with a title he staged *Les Sylphides* within the first Russian Season in 1909. It’s known that Sergei Diaghilev used to call *Les Sylphides* the pearl of his repertoire, as he was especially fond of it.

Mikhail Fokine’s *Les Sylphides* is the most beautiful, heaving, romantic ballet. Each of the movements, each of the gestures is sculpted with the most of the delicacy in it. One wave of motion is followed lightly by another, and it can be said that on the music of genius Chopin, these movements heave tenderly. The convergence of dance, music, decoration and costumes is very harmonic in *Les Sylphides*, and sublimed, as well. Paris received the ballet with a great delight. They acknowledged it not only as romantic ballet reanimated at the beginning of the 20<sup>th</sup> century, evaluated not only the respect



მასში ყოველი მოძრაობა, ყოველი ჟესტი უფაქიზესადაა გამოძერწილი. ერთი მოძრაობის ნატიფ ტალღას მსუბუქად მოსდევს მეორე მოძრაობის ნატიფი ტალღა და შეიძლება ითქვას, რომ გენიალური შოპენის მუსიკაზე ეს გრაციოზული მოძრაობები ნაზად ტივტივებენ. „სილფიდებში“ ცეკვის, მუსიკის, დეკორაციისა და კოსტიუმის შერწყმა უაღრესად ჰარმონიულია. უაღრესად ამალღებელიც. პარიზმა ბალეტი ალტაცებით მიიღო. მან მასში დაინახა არა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში გაცოცხლებული რომანტიკული ბალეტი, შეაფასა არა მხოლოდ ამ ბალეტში პეტიპას აკადემიური სტილის პატივისცემა, არამედ, ამავედროულად, ცეკვის ახალი, უფრო ინდივიდუალური, რაფინირებული, მაგრამ ემოციური ბუნება, განსხვავებული აკადემიუმის სიმშრალისა და სიცივისგან, ასევე, მოძრაობების ის დიდი მრავალფეროვნება და სიუხვე, რაც ფოკინის ბალეტებს ახასიათებს. ქორეოგრაფი ხომ საბალეტო ტექნიკის რეფორმისკენ ისწრაფვოდა. აღსანიშნავია, რომ ფოკინის „სილფიდებ-

of Petipa's academic style at this ballet, but at the same time they acknowledged and evaluated new, more its individualistic, refined, but emotional nature, different from dryness and coldness of the academism; also the chromaticity and abundance of the movements that Fokine's ballets are characterized with. Thus the choreographer sought to reform ballet technique. It's notable that in Fokine's *Les Sylphides*, soloists and corps de ballet excel each other within the virtuosity of performing. This was a great novelty, too. The audience was fascinated with not only the dancing of the *Les Sylphide*'s brilliant soloists, Vaslav Nijinsky, Anna Pavlova, Tamara Karsavina, but with the quality and individualism of the corps de ballet.

It is ought to be said that the French press used to write about Benois', Bakst's, Roerich's and Golovin's decorations and costumes not less than about the ballet's well-known soloists. French critics would say about them that, first of all, they were

ში“ სოლისტები და კორდებალეტი ერთ-მანეთს ტოლს არ უდებდნენ შესრულების ვირტუოზულობაში. ესეც დიდი სიახლე იყო. პარიზელი მაყურებელი არა მხოლოდ „სილფიდების“ ბწყინვალე სოლისტების, ვაცლავ ნიჟინსკის, ანა პავლოვასა და თამარა კარსავინას ცეკვით მოიხიბლა, არამედ კორდებალეტის ცეკვის ხარისხით და ინდივიდუალურობითაც.

უნდა ითქვას, რომ ბენუას, ბაკსტის, რერიხის, გოლოვონის მიერ შექმნილ დეკორაციებსა და კოსტიუმებზე ფრანგულ პრესაში არანაკლებ წერდნენ, ვიდრე ბალეტების სოლისტებზე. ფრანგი კრიტიკოსები მათზე ამბობდნენ, რომ ისინი, უპირველეს ყოვლისა, ფერწერის დიდოსტატები იყვნენ და არა დეკორაციის სპეციალისტები. მაგალითად, 1910 წლის სეზონში უდიდესი წარმატება ხვდა „შეჭერებადას“. ამ წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვოდა ლეონ ბაკსტს, რომელიც ამ ბალეტის მხატვარიც იყო და ლიბრეტოს ავტორიც. მისი ესკიზები მაშინვე შეიძინა პარიზის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმი. იმდროინდელი პრესის თანახმად, „შეჭერებადას“ ანტრაქტის დროს პარიზელი მხატვრები და სკულპტორები სცენაზე მოხვედრას ჩქარობდნენ, რათა ახლოდან ენახათ „შეჭერებადას“ დეკორაციები და კოსტიუმები. ფრანგული პრესა წერდა, რომ ბენუა, ბაკსტი, რერიხი, გოლოვინი მართო მხატვრები კი არა, პოეტებიც არიანო. მართლაც, მათ მიერ შექმნილი დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები მეტყველებენ შემქმნელების დახვეწილ გემოვნებაზე, ფერთა გასაოცარ გამაზე, ფერთა ერთმანეთთან უმშვენიერეს შეხამებაზე, რომელთაც ამ ხელოვნების ფუნჯი თავისუფლად, ძალდატანების გარეშე ქმნიდა.

„რუსული ბალეტების“ ერთ-ერთი ნოვატორული ნაბიჯი იმაში მდგომარეობდა, რომ ქორეოგრაფია, მუსიკა, დეკორაცია და კოსტიუმი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ როგორც ბალეტის თანაბარი მნიშვნელობის მქონე ნაწილები. ისინი არ ჩრდილავდნენ ერთმანეთს, პირიქით, კოსტიუმები ეხმარებოდნენ ქორეოგრაფიასა და მუსიკას მოძრაობების გამოძერწვაში და ქორეოგრაფია კი წარმოაჩენდა თვალწარმტაც კოსტიუმებს. ჟან კოკტოს





სილფიდები. ბენჟამენ მილპიეს ქორეოგრაფია  
 შენევის დიდი საბალეტო თეატრი  
 BALLET DU GRAND THÉÂTRE DE GENÈVE  
 LES SYLPHIDES, CHORÉGRAPHIE: BENJAMIN MILLEPIED  
 PHOTOS: GTG / VINCENT LEPRESLE

სიტყვებით, სერგეი დიაგილევის „რუსულ-მა ბალეტებმა“ პარიზი შეძრა და გააოგნა.

ფოკინი „შოპენიანას“ ეძახდა *Rêveries Romantiques* – ეს ერთმოქმედებიანი ბალეტი შეფასებულია ახალ ეპოქად ბალეტის ისტორიაში, ეპოქად, რომელიც დადგა პეტიპას შემდეგ. რა გავლენა მოახდინა, თქვენი აზრით, მისმა დადგამმა და ზოგადად ფოკინის სტილმა ბალეტის განვითარებაზე?

ფოკინი უაღრესად ნაყოფიერი ქორეოგრაფი იყო. სამოცამდე ბალეტი შექმნა. მარტო დიაგილევის საბალეტო დასისთვის მან ამ დასის რეპერტუარის ისეთი შედეგები დადგა, როგორებიცაა: „სილფიდები“, „არმიდას პავილიონი“, „ლზინი“, „კარნავალი“, „ფასკუნჯი“, „შეჭერება“, „პეტრუშკა“, „ვარდის ზმანება“, „დაფნისი და ქლოე“ და სხვები. იგი მოღვაწეობდა პეტერბურგში, პარიზში, მონტე კარლოში, სტოკჰოლმში, ნიუ-იორკში, სადაც თავისი ცეკვის სკოლა გახსნა. ჩემი აზრით, ფოკინი „შოპენიანაში“ გვევლინება როგორც ნეორომანტიკოსი ქორეოგრაფი. არ მიკვირს, რომ მასთან სულიერი სიახლოვე იპოვა ისეთმა თანამედროვე ქორეოგრაფმა, როგორც ფრანგი ბენჟამენ მილპიეა. 2011 წელს, მსოფლიო პრემიერის ფარგლებში, ჟენევის დიდი თეატრის ბალეტის დირექტორმა ფილიპ კონემა სწორედ მას შეუკვეთა „სილფიდების“ ახალი განხორციელება. ფოკინის, როგორც ქორეოგრაფის სტილით შთაგონება XXI საუკუნეში – აი, ეს არის, ჩემი აზრით, მისი მთავარი გავლენა ბალეტის განვითარებაზე.

masters of painting and not décor’s specialists. For example, in the season of 1910, *Scheherazade* was met with great success. A large contribution to this success belonged to Leon Bakst, who was the set designer and author of the libretto of this ballet. His sketches were immediately purchased by the Museum of Decorative Art of Paris. According to the press of that time, during the interval of *Scheherazade*, Parisian painters and sculptors were in a hurry to get to the stage, thus they would be able to have a closer look at *Scheherazade*’s decorations and costumes. The French press used to write that Benois, Bakst, Roerich and Golovin were not only the painters, but also poets. Indeed, the sketches of the decorations and costumes created by them speak for refined taste of the authors and amazing colour palette, the prettiest colour combination that the brush of these artists used to create freely, without compulsion.

One of the innovative steps of the Russian Seasons was that choreography, music, decorations and costumes were connected to each other as equal parts of the ballet. They didn’t outshine each other, on the contrary, the decorations and costumes helped choreography and music to sculpt the movements, and the choreography highlighted the delightful costumes. According to Jean Cocteau’s words, Sergei Diaghilev’s Russian Ballets shocked and astounded Paris.

Fokine used to call *Chopiniana* as *Reveries Romantiques* – this one-act ballet is estimated as a new era in the history of ballet, an era that followed Petipa. What do you think, what kind of influence his performance and, in general, Fokine’s style had on the development of ballet?

Fokine was a very prolific choreographer. He created about sixty ballets. Only for Diaghilev’s ballet company, he staged the performances of the repertoire such as *Les Sylphides*, *Armida’s Pavillon*, *Feast*, *Carnaval*, *Firebird*, *Scheherazade*, *Petroushka*, *Spectre de la Rose*, *Daphnis and Chloe*, and so on. He used to work in Petersburg, Paris, Monte Carlo, Stockholm, New York where



ფოკინმა ძალიან ადრეულ ასაკში ნახა „სილფიდები“, რომელიც პეტიპამ გადააკეთა პეტერბურგში და, სხვათაშორის, აღნიშნავენ, რომ ეს იყო მისი ერთ-ერთი წარუმატებელი სპექტაკლი. იგი კარგად იცნობდა „ჟიზელის“ ქორეოგრაფიასაც (რუსული სეზონების მეორე წელს მას მოუწია პარიზისთვის ამ ბალეტის დადგმა). როგორ ფიქრობთ რა გავლენა იქონია ამ კლასიკურმა ბალეტებმა „შოპენიანას“ ქორეოგრაფიულ სტილზე?

„სილფიდა“ და „ჟიზელი“ დიდი რომანტიკული ბალეტებია, რომლებსაც დრომ ვერაფერი დააკლო. თითქმის ყოველ წელს, „ჟიზელის“ სრულიად ახალი ინტერპრეტაცია იქმნება, ან ახალი ქორეოგრაფი აღადგენს მას ორიგინალური ვერსიის მიხედვით.

ჩემი აზრით, ფოკინის „შოპენიანა“ / „სილფიდები“ არის კლასიკური საბალეტო რეპერტუარის ორი შედეგის, „სილფიდასა“ და „ჟიზელისადმი“ პატივის მიგება და მათით შთაგონებაც. ამ ბალეტების მეორე მოქმედებებში ვილისები, ქორწინებამდე გარდაცვლილი ქალწულები და სილფიდები, ჰაერის სულები მონაწილეობენ. მოცეკვავეებმა ბალეტების პირველ მოქმედებებში დატოვეს დატვირთული და ფერადი კოსტიუმები, ცეკვით დახუნძლული სიუჟეტები და იღუმალ, არამიწიერ, ცივ სამყაროში გადაგვიყვანეს, სადაც ბალეტი თავისუფლდება მოძრაობისა და კოსტიუმის სიმძიმისგან. ის უნდა შეიგრძნო და არა გაიგო. მისი ენა ესმის გულს და არა გონებას. მან მაყურებელში უნდა გამოიწვიოს ემოცია, მღელვარება და არა ფიქრების აშლა.

ფოკინის „შოპენიანა“, რომელიც მან დიდი რომანტიკოსი კომპოზიტორის ხსოვნას მიუძღვნა, ვფიქრობ, სწორედ ამ მეორე მოქმედებებით არის შთაგონებული. იგივე სუფთა, რაფინირებული, ზუსტი, მაგრამ პოეტური, გულშიჩამწვდომი, არამიწიერი, ამალღებული მოძრაობები, იგივე უმსუბუქესი თეთრი კოსტიუმები...

მოგვიანებით, ფოკინის „შოპენიანას“ სხვა ქორეოგრაფიული ვერსიებიც

